პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
prokredit banki, al. yazbegis gamz, 21, 0160 Tbilisi

თბილისის ფილიალი #1

ავტორი : პაპუნა ცაავა

ტელ : +995 32 2202222 (შიდა 5171)
ფაქსი : +995 32 2202223
ელფოსტა : Papuna.tsaava@procredit-group.com

თარიღი : 02.02.2023

**იპოთეკარის თანხმობის წერილი**

სს „პროკრედიტ ბანკი", როგორც იპოთეკარი, უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, მარიჯანის N8ა (ქონების საკადასტრო: 01.14.03.039.036 დაზუსტებული ფართი 205 კვ/მ; მესაკუთრე - შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი ს/ნ 200099384) თანახმაა იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, განხორციელდეს პროექტის კორექტირება, იმ პირობით, რომ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შედეგად მიღებულ საბოლოო ქონებაზე სრულად გავრცელდება სს „პროკრედიტ ბანკი"-ის იპოთეკის უფლება.

პატივისცემით,

**სს პროკრედიტ ბანკი საქართველო**

გიორგი ნიკოლაშვილი
*ფილიალის მმართველი*

პაპუნა ცაავა
*საშუალო ბიზნესის კლიენტთა მრჩეველი*



Part of the ProCredit Group

21 Al. Kazbegi Ave.
0160 Tbilisi, Georgia
ალ. ყაზბეგის გამზ. 21
0160 თბილისი, საქართველო

Tel. / ტელ: +995 (0) 32 2202222
Fax / ფაქსი: +995 (0) 32 2202223
info@procreditbank.ge
www.procreditbank.ge

JSC ProCredit Bank / ს.ს. პროკრედიტ ბანკი
SWIFT / BIC : MIBGGE22
Tax-Reg.-No / საიდენტიფიკაციო კოდი:
204851197

# თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, დავით მახარობლიშვილი (დაბ.22.07.1948წელს თბილისში, პ/ნ 01008005148, რეგისტრ. ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 86, ბინა 20) ვაცხადებ თანხმობას მასზედ რომ, შპს „ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის“-ს (ს/კ 200099384) მიერ პროექტში (მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა, მდებარე ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 01.14.03.039.036) შეტანილ იქნას კორექტირება და ცვლილება. აღნიშნული თანხმობა გამოხატავს ჩემს ნებას და დასტურის მიზნით ვაწერ ხელს.

დავით მახარობლიშვილი _____

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N230138287 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 03.02.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ეკატერინე მარშანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 41427564591523 |

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის სამ თებერვალს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართა: დავით მახარობლიშვილმა , რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით მახარობლიშვილმა (დაბ.22.07.1948წელს თბილისში, პ/ნ 01008005148, რეგისტრ. ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 86, ბინა 20) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე.
ორი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.08 ლარი

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18